ქვეყნის პროლ.-ელიე ქართ. სარკვ. პარტიის

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ...
4 „ 150,000 ...
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 496 პარასკევი, ივნისის 15 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

# განცხადება

შაბათს, 16 ივნისს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის ბინაზე მოწვეულია

## ტფილისის ალმასკომის მორიგი სხდომა:

დღის წესრიგში:

1. მოხსენება ზაგესკომის შესახებ. მომხსენებელია ამხ. თ. ღლონტი.
2. პრეზიდიუმის მოხსენება საბჭოს სექციური მუშაობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ვინაიდან გასარჩევია მეტათ სერიოზული საკითხები, ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

პრეზიდიუმი

№ 375—2—1

---

18 ივნისს მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესია.

## სესიის დღის წესრიგი:

1) დებულება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილებისა.
2) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3) სამოქალაქო კოდექსი.
4) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა.
5) აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია.
6) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღება.
7) თიანეთის მაზრის შემოერთება დუშეთის და თელავის მაზრებზე.
8) საკავშირო ხელშეკრულების შესახებ.
9) საქართველოში შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შესახებ.
10) მიმდინარე საკითხები.

3—1

ს. ს. ცაკის მდივანი: პ. საბაშვილი.

---

## პროფკავშირთა ყრილობისათვის

დღეს იხსნება საქართველოს პროფკავშირების მესამე ყრილობა. აღსანიშნავია, რომ შედარებით [წ]ასულ ყრილობების მუშაობასთან მესამე ყრილობის საქმიანობა უხდება ნორმალ გარემოებასა [დ]ა პირობებში. მეორე ყრილობის შემდეგ უკვე [წ]ელზე მეტმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში მე[ტ]ად სერიოზული ცვლილებები მოხდა ჩვენი სახელმწიფოს სოც.-ეკონომიურ მშენებლობაში.

სამხედრო კომუნიზმის პერიოდში პროფკავშირების ძალა და მნიშვნელობა სხვა იყო. სოციალისტურ წესების შემოღება უსათუოდ ჰგულისხმობს მთელი ეკონომიური აპარატის მუშათა კლასის ხელში გადასვლას. მუშას მაშინ საქმე აქვს არა კერძო კაპიტალისტთან, არამედ საკუთარ შრომასთან. მაგრამ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ნიადაგზე გადასვლა მოითხოვს მუშა-მოსამსახურეთა პროფ-ორგანიზაციების გაძლიერებას. პროფ-მოძრაობა შრომასა და კაპიტალს შუა არსებულ ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიური კურსი კატეგორიულად უკარნახებს მშრომელთა კლასს ორგანიზაციულ შეკავშირებას. მართალია, ყველესაც სამრეწველო ორგანიზაციები სახელმწიფოს, ე. ი. მუშების ხელშია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშა ხელის პროფესიონალ ინტერესების გარეშე იდგეს. სახელმწიფო, როგორც იურიდიული პიროვნება, ახდენს იმ ოპერაციებს, რასაც წინეთ კერძო კაპიტალისტი აწარმოებდა. ხელფასის საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროსაც მწვავედ სდგას დაქირავებულ შრომის წინაშე. მეორე მხრით,—რაც საკითხის ცენტრია,—„ნეპო"-ს შინაარსი კერძო ინიციატივის ამოძრავებას შეიცავს. არა მარტო სახელმწიფო, არამედ კერძო კაპიტალისტიც გამოდის მრეწველის როლში. საიჯარო პოლიტიკამ ერთობ ფართო ასპარეზი გაუხსნა კერძო პირებს ვაჭრობა-მრეწველობის წარმოებისათვის. უეჭველია, დიდი სიფხიზლეა საჭირო ბურჟუა-კაპიტალისტის კლანჭებისაგან დაქირავებულ მშრომელის დახსნის და დაცვის საქმეში.

დღეს პროფკავშირების წინაშე ერთობ მნიშვნელოვანი საკითხებია გადაშლილი. მათში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელფასის ტარიფიკაციას, ეკონომიურ, შრომის დაცვის და კულტურულ ამოცანებს. ყრილობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მათ გონივრულ და მიზანშეწონილ გადაწყვეტას.

უნდა ითქვას, რომ დაქირავებულ მუშის ხელფასი რეალად უდრის საცხოვრებელ მინიმუმს. მუშის კვირეული ჯამაგირი დაახლოებით 70 პროც. უდგენს ომამდე არსებულ ხელფასის ნორმასთან. ცხადია, მიღწევის შემდეგი განვითარების მიმართულებით კიდევ საჭიროა მუშაობა. საერთოდ, ხელფასის გადიდება წარმოების ნაყოფიერებაზეა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებული. საბჭოთა წარმოება-მრეწველობის ინტენსიფიკაციამ საკმაოდ გაადიდა ფაბრიკატების ნაყოფიერება. წარმოების ყოველ დარგში ადვილად შესამჩნევია ეგ დადებითი ხასიათის მოვლენა. დაქირავებულ შრომის ხელფასის გადიდებისათვის იშლება ფართო მოედანი. პროფკავშირების მოვალეობაა ამ მხრით საქმიანობის ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანა. სახელმწიფო საწარმოო-სამრეწველო ორგანიზაციებში ხელფასის გადიდებისათვის ბრძოლას არ აქვს მწვავე ხასიათი. მუშურ-გლეხური ხელისუფლება იბრძვის დაქირავებულ შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მით უმეტესად შეუძლებელია სახელმწიფოსათვის მშრომელთა ხელფასის შემცირება ან „გაყინულ წერტილზე" დაყენება მაშინ, როდესაც წარმოების ნაყოფიერება თვალსაჩინო დონეს აღწევს.

არსებითად საწინააღმდეგო სურათი იშლება ჩვენს წინაშე კერძო პირებზე იჯარით გაცემულ საწარმოო დაწესებულებები. კაპიტალისტი მუდამ „ფინასიური რესურსების" გაძლიერების ცდაშია. წარმოების ნაყოფიერების პარალელად იგი გაზრდის ხელფასს წინააღმდეგ თავის სურვილის, მაგრამ არა ნაყოფიერების პროპორციულად. პროფ-ორგანიზაციებს გენერალური იერიშების წარმოება სწორედ ამ შემთხვევაში უხდება.

კოლექტიურ ხელშეკრულების სისტემაზე გადასვლა უსათუოდ სერიოზული ნაბიჯი იყო მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული. საჭიროა მომავალში ამ სისტემის დაცვა და მასში არსებულ ნაკლების მოსპობა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ყრილობისაგან პროფკავშირთა წევრებს შორის კულტურული მუშაობა. საქართველოს პროფკავშირები აერთიანებს რამოდენიმე ათას დაქირავებულ მშრომელთ. მათ რიგებში წერა-კითხვა უცოდინარობის ლიკვიდაცია, პროფ-განათლების ზოგადი განათლების შეტანა განავითარებს კავშირების წევრებში კლასიურ ინტერესების შეგნებას და ამით პროფკავშირთა პრაქტიკულ საქმიანობაში შეანათებს ახალი სხივი პროფ-მოძრაობის სასიცოცხლო ენერგიის.

შეიძლება კიდევ მთელ რიგ ამოცანების აღნუსხვა. ყრილობამ უნდა შესძლოს საკითხების დაწვრილებით აღნიშვნა-განმარტება და მიზან-შეწონილი გადაწყვეტა. ვიმეორებთ: მესამე ყრილობას შედარებით ნორმალ პირობებში უხდება მუშაობა და მუშაობის ნაყოფი უსათუოდ თვალსაჩინო იქნება მუშათა ცხოვრებაში. ჩვენ ვსცხოვრობთ მშრომელთა სახელმწიფოში. ღიაა შრომის ბატონობისათვის კარები. პროფკავშირების დღევანდელ ყრილობამ უნდა მისცეს ტონი და გეზი მუშათა კლასის სოციალიზმისათვის ბრძოლას.

სალამი შრომის წარმომადგენლებს!

---

# ტელეგ-დეპეშები

### რუსეთი და ინგლისი

**ლონდონი.** 11 ივნისი. შაბათს მიღებულ ცნობის წინააღმდეგ, რომელსაც იძლეოდენ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომარე წრეები, ლიბერალურ გაზ. „დობსერვერის" გუშინდელ ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა; საბედნიეროდ ორივე მხარესათვის, როგორც სჩანს, გადასწყდა, რომ კერზონსა და ჩიჩერინს შორის უთანხმოებას ადგილი აღარ ექნება. „სავაჭრო შეთანხმება ძალაში დარჩება".

**მოსკოვი.** 12 ივნისი, ადგილებიდან მოდის ცნობები მშრომელთა პროტესტების შესახებ ინგლისის მეორე ნოტის წინააღმდეგ პროტესტებში მშრომელები მოითხოვენ აღარავითარ დათმობაზე აღარ წავიდეს საბჭოთა მთავრობა. იაპონიის მეზღვაურთა კრებაზე ვლადივოსტოკში მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც მეზღვაურები უერთებენ თავის საპროტესტო ხმას კერზონის ნოტის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ იაპონიის მუშათა კლასი მზადაა გამოვიდეს სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ერთად საბრძოლველად მშრომელთა მსოფლიო სახელმწიფოს შესაქმნელად.

**ლონდონი.** 11 ივნისი. ბრიტანეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც იძლევა გაფრთხილებას, რომ ინგ.-რუსეთის კონფლიქტი ჯერ კიდევ არ გათავებულა და წინადადებას იძლევა გააძლიერონ აგიტაცია.

**ლიფილდი.** 11 ივნისი. დღეს ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად გადაეცა რუსეთის მეორე ნოტა. კრასინის შეხვედრა კერზონთან მოხდება, ალბად ოთხშაბათს.

### საკონტრიბუციო საკითხი

**ინგლისის პოლიტიკური წრეებში**

**ლონდონი.** 11 ივნისი. სარეპარაციო პრობლემის გარშემო სწარმოებს გაცხოველებული კამათი ინგლისის პოლიტიკურ წრეებში.

**ინგლისი უფრო გარკვეულად გამოსთქვამს თავის აზრს**

ინგლისის მთავრობის ახალმა გამოსვლამ, უმრავლეხობის აზრით, ბოლო უნდა მოუღოს ინგლისის გაურკვეველ პოლიტიკის. სარეპარაციო საკითხში ინგლისის კაბინეთის დღევანდელი სხდომის შედეგები ჯერ არ არის გამორკვეული.

**პუანკარე ისევ ჯიუტობს**

ამტკიცებენ, რომ საფრანგეთის ელჩია გადასცა კერზონს ბუანკარეს წერილობითი განცხადება. რომელშიაც გამოსთქვამს თანხმობას მოკავშირეების მიერ შეთანხმებულ პასუხის გაცემაზე იმ პირობით, თუ ინგლისი მოითხოვს გერმანიისაგან პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას. რურში განზრახულ კონფერენციაზე გერმანიას წარუდგენენ გეგმას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშა-

**ბალდვინის გეგმა**

ბალდვინი ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ულტიმატურად მოითხოვოს გერმანიისაგან პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტა. ეს მოთხოვნილება უფრო მისაღებ ფორმაში უნდა წარედგინოს გერმანიას.

ამგვარად, ბალდვინის გეგმა მდგომარეობს შემდეგში: იმის მაგიერ, რომ მიიღოს დაპირება რურში პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ, საფრანგეთი აღიარებს სარეპარაციო საკითხის გადაჭრას. ინგლისის სქემას ინგლისის პრესა შენიშნავს, რომ ამ გეგმის წარმატება საეჭვოა, რადგან ინგლისის მთავრობის სარეპარაციო სქემა ბევრად არ განსხვავდება. ბონარ ლოუს სქემისაგან, რომელიც მიღებულია საფრანგეთისათვის.

**რომი.** 8 ივნისი. დღეს მუსოლინმა საკონტრიბუციო საკითხისათვის მიძღვნილი სიტყვა წარმოსთქვა. გერმანიას, განაცხადა მუსოლინმა,—შეუძლია და უნდა გადიხადოს კიდეც. იტალიას კი არ შეუძლია გადაიტანოს მეტი მსხვერპლი კონტრიბუციაზე უარის თქმით და არ შეუძლია დაეთანხმოს ბონარ ლოუს პროექტს, რომელიც არ აუქმებს ინგლისისათვის გადასახდელ იტალიის სამხედრო ვალებს და ნახევარზე მეტად ამცირებს იმ საკონტრიბუციო თანხას, რომელიც იტალიას გერმანიისაგან ერგება".

მუსოლინმა დაუმატა, რომ რურის ოკუპაცია საფრანგეთის მიერ არ შეიძლება სავსებით მოწონებულ იქნეს. მაგრამ ის სასარგებლოა იმ მხრივ, რომ მან გაამწვავა საკონტრიბუციო საკითხი და გამოიწვია მისი სრულ მასშტაბით გადაწყვეტა.

დემოკრატიული გაზეთის „ბეულინერ ცეიტუნგის" ცნობით, გერმანიის მთავრობის თვალსაზრისი ორივე მხარესათვის სავალდებულო დროებითი ზავის შესახებ ასეთია:

ფრანგები და ბელგიელები მოლაპარაკების დასრულებამდე ხელს იღებენ რეპრესიულ ზომებზე და რურის ოლქიდან მცხოვრებლების გადასახლებაზე. გერმანიის მთავრობა უარს ამბობს რურის ოლქიდან მცხოვრებთათვის სპეციალურ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევაზე.

გერმანიის მემარჯვენე წრეები უკმაყოფილო არიან მით, რომ მთავრობა მზად არის წავიდეს დათმობაზე პასიური წინააღმდეგობის საკითხში და აფრთხილებენ კუნოს, რომ ის შედგა მოლიპულ გზაზე, რომელიც შეიძლება კრახით დამთავრდეს.

**ჟასპარის განცხადება.**

**ბერლინი.** 13 ივნისი. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟასპარმა, პარლამენტში განაცხადა: „ჩვენ გავალთ რურიდან, როდესაც ჩვენ გადაგვიხდიან კონტრიბუციას და მოლაპარაკებას ვაწარმოებთ გერმანიასთან მის შემდეგ, როდესაც შეწყვეტილი იქნება პასიური წინააღმდეგობა".

**რომი.** 13 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში აცხადებენ, რომ ჯერ კიდევ არაფერი გადაწყვეტილება არ არის მიღებული გერმანიის ნოტის შესახებ მოსალოდნელია, რომ პასიურ წინააღმდეგობის საკითხში, იტალია საშუალო პოზიციას დაიჭერს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის შუა. საფრანგეთის საელჩო რომში იმედს გამოსთქვამს, რომ პასიურ წინააღმდეგობის საკითხში იტალიის მთავრობა დახმარებას გაუწევს საფრანგეთის კაბინეტს.

**სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში.**

**ლონდონი,** 10 ივნისი. მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გადატრიალება უსისხლოდ მოხდა. ბულგარეთის ყველა საზღვრები შეკრულია. ცნობები ვითომც მობილიზაცია გამოცხადებულიყოს, ოფიციალურად უარყოფილია. ახალი მთავრობის განცხადებით სოფიაში და საერთოდ მთელს ბულგარეთში სრული სიწყნარეა.

**ლიფლიანდი** 11 ივნისი. ბულგარეთის მიწათ-მოქმედების მინისტრმა ვლადიმერ მოლლოვმა, რომელიც გენერალ პროტოგეროვთან ერთათ ბულგარეთის გარედ იმყოფება, საუბრის დროს, განაცხადა: ბულგარეთის ახალი პრემიერი ალექსანდრე ცანკოვი ენერგიული ადამიანია და გარკვეული კონსერვატორი. ის არ უნდა აჰრიოთ იმისი ძმა არსენთან, რომელიც სოციალისტების დეპუტატათ იყო. ომიანობის დროს ცანკოვი სტამბულოვსკის მეგობრობდა, თუმცა ბოლოს ჩამოშორდა და შეჰქმნა ოპოზიციური პარტია. ეროვნული კავშირის სახელწოდებით. ეს გადატრიალება თვეობით მზადდებოდა, ყოველივე წვრილმანიც კი გათვალისწინებული იყო. ყველა მინისტრები მაშინვე დაატუსაღეს ზოგი თავის ბინაზე, ზოგიც სხდომებზე

ბულგარეთის მოსახლეობა კმაყოფილია გადატრიალებით, ალბად სტამბულოვსკის მომხრე გლეხობის გარდა.

მოლლოვი დღეს მიემგზავრება სოფიაში გენერალ პროტოგეროვის თანხლებით, რათა მონაწილეობა მიიღოს ახალი მთავრობის ორგანიზაციაში.

**ვენა.** 11 ივნისი. ბულგარეთის ახალმა მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი პარტიული ბლოკი, მათ შორის ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატებისაც. ახალი მთავრობის მდგომარეობა მკვიდრი არ არის. გლეხკაცობა და მუშები—მაშასადამე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ახალი მთავრობის წინააღმდეგია განწყობილი. მთავრობას ემხრობა მრეწველი ბურჟუაზია. ნაწილობრივი ინტელიგენცია დი სამხედრო წრეები.

**ბერლინი.** 11 ივნისი. უკანასკნელი დეპეშები სოფიიდან იტყობინებიან, რომ გადატრიალება მოხდა ერთნახევარ საათის განმავლობაში. მეფემ ხელი მოაწერა 3 დეკრეტს: სტამბულინსკის კაბინეტის გადადგომისა, ახალი მთავრობის დანიშვნისა და ეროვნულ კრების დაშლის შესახებ.

**იტალიის მდგომარეობა.**

**რომი.** 11 ივნისი. გუშინ სენატში მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა იტალიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. „იტალია, განაცხადა მუსოლინიმ, თანახმაა მისცეს სესხი უნგრეთსა და ავსტრიას, რადგან ის დაინტერესებულია აღმოსავლეთთან ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულებათა ჩქარი აღდგენით.

შეეხო რა რუსეთთან დამოკიდებულებას, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულია 1921 წლის პრელიმინალურ ხელშეკრულებით, რომელიც ამ დღეებში წარდგენილი იქნება პარლამენტში დასამტკიცებლად. ხელშეკრულების პრაქტიკულად გამოყენების დროს წარმოსდგა დაბრკოლებანი. რომელნიც საბაბად გახდენ რუსეთისათვის ხელშეკრულების დარღვევისათვის: იტალიის მთავრობა ზომებს მიიღებს, აღმოცენებულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად და ნიადაგის მოსამზადებლად რუსეთთან უფრო ფართო შეთანხმების მისაღწევად.

# ახალი ამბები

— **შესწორება** რაიონულ მილიციის სამმართველოებთან და თემის აღმასკომებთან სამხედრო მაგიდების დაარსების შესახებ დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნა შემდეგი შესწორებები: 1) სამხედრო მაგიდის საქმის მწარმოებლებს მიენიჭოს მაგიდის გამგის სახელწოდება და უფლება, 2) მაგიდის გამგის მიღება-დათხოვა ხდება სამხ. უწყების მიერ. სამმართველოს განყოფილებასთან შეთანხმებით. 3) სამხ. მაგიდების რეგისტრატორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამსახურიდან სამმართველოს განყოფილების მიერ.

— **ჯამაგირები**. მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით ჯამაგირები აღმასკომის მუშა მოსამსახურეებს მიეცემა თვის 15-ს და 30-ს.

— **დახმარება**. ავჭალის თეატრ-კლუბის სააღმშენებლო კომიტეტს მიეცა 800 მილიონი მანეთი დახმარება—ხსენებულ თეატრის ასაგებ ფონდისთვის.

— **მებაღეობის კურსები**. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ დაადგინა—გახსნას მებაღეობის კურსები—ხელმძღვანელათ მოწვეულია ამხ. ამირან მაჭავარიანი.

— **დახმარება მუშა-მოსამსახურეებს**. აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რათა აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებს მიეცეთ ნისიათ საჭირო ფართლეულობა და ფეხსაცმელები.

— **ვერის ბორანის აღსადგენათ**. ვერის ბორანის აღსადგენათ მოიჯარადრეს მიეცა ნახევარი მილიარდი მანეთი და წინადადება მიეცა ორი კვირის განმავლობაში ააგოს ბორანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვალოს გაუქმებულათ.

## შრომის ბირჟა

— **უმუშევრების მოძრაობა**. ივნისის 11-ს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 843 უმუშევარი, ჩაეწერა ახალი უმუშევრები—125. გაიგზავნა სამუშაოზე—27.

— **საჭიროა აღმწერლები**. სტატისტიკის ცენტრალ. სასამართლოსთან არსებული სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრ. ბიუროში (ბროსეს ქ № 4) ივნისის 14 დან იწყება ინსტრუქტორების და რეგისტრატორების წინასწარი ჩაწერა. აღწერაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.

— **ინვალიდების სასარგებლოთ**. ინვალიდების დამხმარე კომიტეტს მოუვიდა ბათომიდან—კვირეულის განმავლობაში შეკრებილი 273,000,000 მანეთი, 46 ოქრო და 4 ქაღალდის ლირა.

— **მოწმობის დაკარგვა**. დავკარგე პირადობის მოწმობა ეკონომიური დარგის, მესამე კურსის სტ. შალვა სერაპიონის ძე ცირღილაძემ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# გავლენა?

(წერილი რედაქციის მიმართ.)

მეორე წერილი, მოქალაქე რედაქტორო, იმიტომ გადმოგიგზავნეთ, რომ იქ მოყვანილი საბუთები—„ყურადგელოთ“ და საკამაოოდ საღერღელ აშლილი თქვენი თანამსახური ი. მჭედლიშვილი შეგეჩერებინათ.

თორემ მე რა? დასწერს—დავწერ. და რამდენსაც მეტს იბზუილებს ეს „ბუზი“ უფრო ღრმად ჩაითრევს „ბადაგი“.

ჩვენ ვსთქვით და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ ი. მჭედლიშვილს თავისი **საკუთარი სისულელეც არა აქვს**. შეიძლება, მოქ. რედაქტორო, ეს გადაჭარბებულად გეჩვენოთ, მაგრამ მე შემიძლიან ყოველ წერილში ახალ ახალი ფაქტები მოვიყვანო.

ალბად ჩვენს მოკამათეს ძალიან ესიამოვნება, რომ მის გვარს თვითოეულ ჩემს წერილში ერთი ექვსჯერ მაინც ვახსენებ ხოლმე მაშ, დაე, კვლავ ისიამოვნოს.

პირველ წერილში (ერთი ავტორის საყურადღებოთ) სრულიად აზრადაც არ მქონია გრიშაშვილის და ი. მჭედლიშვილის დაპირისპირება. მაგრამ, არ ვიცი რატომ, იგი თვით წამდაუწუმ გრიშაშვილს სწვდება. საზოგადოებამ იცის ჩვენი განწყობილება გრიშაშვილთან და მასზე მე ყოველთვის გაკვრით ვლაპარაკობ და საბუთების მოყვანის დროსაც ციტატების ფარგლებში ვიკუმშები. ამ შემთხვევაში გრიშაშვილს არ სჭირია ჩემი დაცვა, ის თარიღები რომელიც მე ჩემ მეორე წერილში მოვიყვანე—ყველაფერს ღაღადებს. ალბად ამიტომაც ბრძანებს ი. მჭედლიშვილი თავის უკანასკნელ წერილში: „მე არ ვთაკილობ და არც ვფიქრობ იმის უარყოფას, რომ გრიშაშვილის გავლენა არის ჩემზეო!“.

ჩხირი კედელს!

მაგრამ ჩვენი ავტორი ამით მაინც ფონს ვერ გავა.

გავლენა სხვაა და პლაგიატი—სხვაა. იქნება ჩვენს მოკამათეს ესაც **გავლენა** ჰგონია?

ი. მჭედლიშვილი სწერს:

„მე შენ მიყვარხარ და მეყვარები
ვიდრე სიკვდილი ჩამიტანს საფლავს“.
(იხ. მისი წიგნი გვ. 27).

შ. მღვიმელი სწერდა:

„მე შენ, მიყვარხარ და მეყვარები
ვიდრე ცოცხალი დავიარები“.
(იხ. სპ. ქ—ძის „ქნარი“ გვ. 260).

ა. ახნაზაროვი სწერდა:

„ქვეყნის შემდგომ ნუ თუ ღმერთი
მარტო შენ შექმნას მოუნდა“?
(იხ. მის თხზ. გვ. 115).

ი. მჭედლიშვილი სწერს:

„ქვეყნის შექმნიდან ღმერთი
შენს გარდა სხვა აღარაფერს არ ქმნიდა“?
(იხ. მჭ. წიგნი გვ. 13)

აბა დააკვირდით, მოქ. რედაქტორო, ამ ზმნა შეცვლილ სიტყვებს და სთქვით: არის განსხვავება? არის საკუთარი სახის ჩენა? არის აქ გავლენა, თუ სხვისი სიტყვების უხეირო გადმოჯაგლაგებაა? ი. მჭედლიშვილს ერთი ღირსება აქვს; იგი არავის არ ივიწყებს: ე. ი. „უგულებელს არავის არა ჰყოფს“ და ყველა მწერალს თანაბრად ჰქურდავს. შ. მღვიმელი იქნება იგი, რაფ. ერისთავი, ა. ახნაზაროვი თუ შექსპირი.

შექსპირზე მომაგონდა. იქნება, მოქ. რედაქტორო, ესაც **გავლენის** ბრალია:

ჰამლეტი თავის მამაზე ამბობს:

„ის კაცი იყო **ვით შეჭფერის**
კაცსა კაცობა“ და სხვ.

ი. მჭედლიშვილი რედაქციაში ნაჩვენებ ლექსში („ილიასადმი“) იმეორებს:

„ის კაცი იყო **ვითარ შეჰშვენს**
კაცსა კაცობა“ და სხვ.

— —

ჩვენმა ავტორმა „ჰამლეტის“ პოზა მიიღო, მაგრამ. „ოტელო“ რომ უფრო დაეჭვდეს?! მას არავის წყენა არა სურს.

მჭედლიშვილი სწერს:

„ნუ თუ ეს ორი ბაგე იმისთვის ღაღადებენ,
ქალწულებრივი ცეცხლით, რომ ზედ შავი ასოებით ეწერ ოს: უნამუსოო“!
(იხ. „მეომ. პოეტი“ გვ. 54).

შექპირის ოტელო ამბობს:

„ოჰ, ეს ეტრატი მშვენიერი, ეს უცხო წიგნი, ნუ თუ იმისთვის გაჩენილა, რომ ზედ ეწეროს: „უნამუსოო!“.
(იხ. „ოტელო“ გვ. 103).

რაშია საქმე? რომელი „უნამუსო“ უფრო მოწონთ, მოქ. რედაქტორო? მოდი, ერთ წუთს დაუჯეროთ ი. მჭედლიშვილს რომ იგი **გრიშაშვილისაგან მხოლოდ გავლენას** განიცდიდა, ჩვენც გრიშაშვილზე აღარას ვიტყვით. მაგრამ აქ, ამ მოყვანილ ადგილებზე რაღას იტყვით? ცოდოა? იცით, მოქ. რედაქტორო, ჩემი წერილი ისევ მევე მსურს შევარბილო—განაჩენს სასტიკს არ გამოვიტან: „აშკარაა მჭედლიშვილს არც „ჰამლეტი“ წაუკითხავს და არც „ოტელო“!! რაო? წაიკითხავდა? ვთქვათ წაიკითხა კიდეც. მერე? რა არის აქ გასაკვირელი: რატომ არ შეიძლება, რომ ერთი და იგივე სიტყვები შექსპირსაც დაებადოს და... ი. მჭედლიშვილსაც!

„დავწერე ლექსი, არც ის ვიცი როდის
დავწერე,
ვის ეგონება მოპარული ის ფრანგულიდან!“

ეს სიტყვები მჭედლიშვილისაა თავის ავტობიოგრაფიიდან. აუხდა წინასწარი გრძნობა: „ვის ეგონება მოპარულიო!“, არავის! მხოლოდ ერთ მარუთას ჰგონია „მოპარული“ და ამიტომაც აკი აუწია ყური მჭედლიშვილს. მჭედლიშვილმა გაიბრძოლა და... ყური ხელში შემრჩა. ვინ არის დამნაშავე, მოქ. რედაქტორო, მე თუ ის?

იქნება იფიქროთ, რომ მჭედლიშვილს საკუთარი ლექსები არა აქვს? როგორ არა! აი მისი საკუთარი თქმანი:

.... აიწევს ნიფხავს..
და თეატრიდან ხალხს წაუკითხავს
თავის ლექსებზე ქების ლექციას“

აი, პორნოგრაფია სად არის! მაგრამ, გავლენა ხომ ყველაფრისა შეიძლება!

ღირს ქვეყანაზე **ცხოვრება-ღა აწ?**
ულმერთოებაში ვის მივე[illegible]
და თვით [illegible] წყობილებასაც
[illegible] და სხვ.

ოდეს ბულბული ჩემ გულში ღამ-ღამ
უხმობს სიყვარულს ამ გულის **მწვოვრ
ობს.,.**

ის აქ ცხოვრობდა და აღარ **ცხოვრობს..**

როგორ მოგწონთ ეს „რითმათა საჭურჭლე **წყობილებასაც—ცხოვრება-ღა აწ?, სცხოვრობს მწვოვრ ობს.** აქ კორექტურული შეცდომა ნუ გეგ ნებათ, ვინაიდან მთელი წიგნი თავიდან ბოლომდ ერთი დიდი კორექტურული შეცდომაა. მჭედლ შვილს ყური მოუკრავს რომ არსებობს რითმა შინაგანი მუსიკა (ალიტერაცია) და აი ბრჯგუ ს ტყვები მიჯრით მიუყრია ერთი მეორეზე, რომე საც თითონ, მგონი, რითმას ეძახის. ჩვენ ეს პო **ზიის სიმახინჯე** იმიტომ გაგვახსენდა, რომ ადამ ანი როგორიც თითონ არის ისეთივე სხვა ჰგონ და ი. მჭედლიშვილიც თავის ინდივიდუალურ მო ლებულ მოსაზრებას სხვას ახვევს თაზე.

რაც შეეხება „მზის ჩვენებას“ და „ძარღვ სისხლს“ ნუ თუ ჩვენი ავტორი **გულწრფელად** ფი რობს რომ მისი სიტყვები სხვასთანაც გადადის? თუ ამასაც ისევე გულწრფელად გრძნობს, როგორ გულწრფელად იღებს სხვა პოეტთა აზრებს—მაშ ეპატიება. მაგრამ ყური დაუგდეთ რას ამბობს მჭედლიშვილი: „მე სრულებითაც არ ვთაკილო თუ ჩემს ლექსს დაეტყო გავლენა აკაკის, ილია გრიშაშვილის, ბაირონის (შექსპირი დავიწყებია), ვითაკილებდი იმას, თუ გავლენის ქვეშ დაწერილ ლექსი უფრო სუსტი იქნებოდაო“.

ჰმმ! მაშასადამე ის ოტელოს სიტყვები, რომ ლიც მჭედლიშვილმა თავის „მეომარ პოეტში“ ჩ ტენა—მაღლა მდგარა პირვანდელ ავტორზე: შექ პირზე, არა? „ვაი სირცხვილო, სადღა არის სიწი ლე შენი!“ თუმცა მჭედლიშვილს ამ ბოლო დრო არც ეს ფერი აკლია, მაგრამ იგი მაინც ის წით ლი ყაყაჩოა, რომელსაც გული ყოველთვის შ აქვს.

დასასრულ მჭედლიშვილს მოჰყავს ანეგდოტ რომელიც ერთ კინტოს აბანოში დაუსწავლები აქედან ის დასკვნა გამოვიტანე რომ მჭედლიშვი ბევრი უვაჭრია, (ბარაქალა, კაი ხელობა აურჩევ ეს მოგება მარუთას შეშურებია და ბებუთი დაუ რავს ბნელ ქუჩაში. ჯერ ერთი მარუთამ ტერორ ხელი აიღო, ამ მხრივ მჭედლიშვილს შეუძლი უზრუნველყოფილი იყვეს და მეორეც—„ტრიბუნ რომელი „ბნელი ქუჩაა“.

მარუთას ამ შემთხვევაში ბებუთი არა სჭირ მისი იარაღი მისი ენაა, რომელიც კამათის დრ შხამიან ბებუთად აელვარებს პირში.

თქვენმა თანამსახურმა კი უნდა იცოდეს, მო რედაქტორო, რომ, „სიცრუის ჩანგლით, სიმართლ თევზს ვერავინ დაიჭერს“.

კიდევ შეიძლებოდა ჩემი მოკამათის უკანა კნელ სიტყვებზე ბევრი გულსაკლავი სიტყვები მ მეყვანა (თუნდა „თეთრი მკბენარის“ ანეგდოტ მაგრამ რედაქტორის წითელი მელნისა მეშინია თუმცა მჭედლიშვილის ზოგიერთ სიტყვებს—საპ სუხოდ მისივე სიბრიყვე ეყოფა.

**მარუთა შუამდინარელი**

# „გიმნაზიელის დღიური“*)

(დასასრული)

მაშასადამე, ჩვენი „ფილოსოფოსი“ პირველობას აძლევს იდეას, აზრს ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში. ის მეორე ადგილზე ამის შესახებ უფრო „ასაბუთებს“ თავის შეხედულებას. „საზოგადოთ,— ბრძანებს ის,—საკაცობრიო ღირებულებას შემოქმედებას აძლევს ყოველთვის აზრი—იდეა, ლოგოსი, ფორმა შემოქმედებისა ყოველთვის დროულია, იგი, ასე ვსთქვათ, ბრბოს გემოვნებაზეა დამყარებული: მხოლოდ აზრი არის გამომხატველი იმ ღვთაებრივი სევდის, რომელიც ისახება მარადობისადმი ტრფიალობაში და რომელსაც აქვს რელიგიურ-ესთეტიური ღირებულება ამ უსწორ-მასწორო წუთისოფელში“. ამნაირათ, მოქ. კაპანელს მხატვრულ შემოქმედებაში „აზრი—იდეა, ლოგოსი“ მიაჩნია უმთავრესი ყურადღების ღირსად. ასეთი შეხედულების მის გარდა სხვაც ბევრია ჩვენში. ამიტომაც ასეთი კითხვა დავსვათ: სიმართლეს ბრძანებს მოქ. კაპანელი? ამ კითხვაზე გადაჭრით ვუპასუხებთ: ვერა, ვერ ამბობს სიმართლეს, მისი შეხედულება შემცდარია. და დაუკვირდით: მხატვრულ შემოქმედებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა აზრს, არა იდეას, არა ლოგოსს, არამედ სიბრძნეს, რომელიც მწველ ფორმებშია ჩამოსხმულ-ჩამოქანდაკებული და რომელსაც ჟამთა დენა მარადისობის კვერს სცემს და სიმტკიცეს უასკეცებს. დიახ, მხატვრულ შემოქმედებაში უმთავრეს შეადგენს სიბრძნე და ფორმა და მეორე ხარისხოვან ნაწილს კი იდეა და შინაარსი. მიტომაც დიდი შოთა ამბობს: „ხელოვნება უწინარეს სიბრძნის არის ერთი დარგი“.

ჩვენ კი ასე ვიტყვით: სიბრძნისთვის უწინარეს ხელოვნებაა სამარადისო საუნჯე და შემმოსი დედა! მოვიყვანოთ მაგალითები, დიდი შექსპირის „მაკბეტ“-სა დიდი დოსტოევსკისა „დანაშაული და სასჯელი“-სა და პუშკინის „ბორის გოდუნოვი“-სა ერთი და იგივე იდეაა გატარებული, სახელდობრ შემდეგი: ყოველ დანაშაულში შესაფერი სასჯელის მარცვალიც იმყოფებაო. მაგრამ არც პუშკინსა და მით უმეტეს არც დოსტოევსკის შექსპირისთვის არაფერში არ მიუბაძავთ, არც პლაგიატორები არიან რასაკვირველია. ან ასეთი მაგალითი ავიღოთ: შესპ. „ოტელო“, ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატა“, არციბაშევის „იჭვიანობა“ სამივე ამ ნაწარმოებში ერთი და იგივე იდეაა გატარებული, მაგრამ თუ შექსპირის „ოტელო“ და ლ. ტოლსტოის „კრეიცერის რონატა“. გენიალურია ეს იმიტომ, რომ ორივეში სიბრძნე და ცხოველი ფორმა მეტყველებს და არა იდეა. და არა შინაარსი, და არა ლოგოსი! მაშასადამე. ადვილი მისახვედრია, თუ არციბაშევის „იჭვიანობა“, რომელშიც იგივე იდეაა გატარებული, რაც შექსპირისა და ლ. ტოლსტოის აღნიშნულ ნაწარმოებებში, რად არ ჩაითვლება გენიალურათ? რასაკვირველია იმიტომ, რომ ის არის მყვირალა და უხეშ ფრაზებით დაწერილი და ზასში სიბრძნის მაგივრად ვიღაც თუ რაღაც უაზროთ ლაყბობს.

ან უფრო ადვილათ მისახვედრი მაგალითი ავიღოთ: სიყვარული, რომელსაც ნაპოლეონი „ცეცხლით მონათვლას“ ეძახდა დიდი შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, დიდი გეოთეს „ახალგაზრდა ვერტეროის ტანჯვანი“, დიდი რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“, დიდი ლ. ტოლსტოის „ანა კარენინასი“, კნუტ ჰამსუნის „ვიქტორია“ რიჰარდ ვაგნერის „ტრისტან და იზოლდა“, ედმონდ როსტანის „შორეული დედოფალი“ და სხვ. ასეთი ნაწარმოები რას გვეუბნებიან? სხვა დი სხვა რამეს? არა, მხოლოდ ერთათ-ერთ ღმერთს; სიყვარულის ღმერთს უგალობენ დიდებისა და უკვდავების ჰიმნებს. ყველა ამ ნაწარმოებებში სიყვარული ზეიმობს, სიყვარული იწვება, იფერფლება და მაინც დაუწველათა და დაუფერფლელად რჩება იგი, ერთათ-ერთი შემოქმედი ღმერთი ჩვენი ცხოვრების.

ნეტავ ვინ ვის მოპარა ან წაბაძა: შექსპირმა—რუსთველს, ლ. ტოსტოიმ—ორივეს, როსტანმა—ყველას? არა და არა! ათასჯერ არა! არც ერთ მათგანს ერთი მეორისთვის არ წაუბაძავსთ, თუმცა ერთსა და იმავე საგანზე სწერენ და შემოქმედებენ. მიტომაც „ვეფხის ტყაოსანს“ „ვიქტორია“ ასე არ გვავს არც ფორმითა და არც შინაარსით, როგორც „ანა კარენინასი“ „რომეო და ჯულიეტას“. „ტრისტან და იზოლდას“ შინაარსი და ფოომა ერთია, გეოთეს „ახალგაზრდა ვერტერის ტანჯვან“-ი-ს სრულიად სხვა. მაშ რით უნდა ავხსნათ, რომ ყოველი მათგანი სიყვარულს აგვიწერს და მათი ნაწარმოებები ერთმანეთს არ გვანან?! სიბრძნით და ფორმით, მხოლოდ სიბრძნით და ფორმით—აი რით! აბა შინაარსიან ნაწარმოებებს, ლექსებსა და პოემებს, მოთხრობებსა თუ რომანებს, დრამებსა თუ ტრაგედიებს, უკაცრავათ პასუხია, ბევრი სწერს, მაგრამ შინაარსი და ფორმა ერთი არის და მისი სახელია —უმიზნო ჯღაბნა, სიბრძნე და ფორმა სრულიად სხვა და მის მარადისობას დასასრული არ ექნება. „წუთი-სოფლის უცვლელი ცვალებადობის“ შვილთა თვალში, სულსა და გულში, აზრსა და გრძნობაში.

ვიმეორებთ, ხელოვნებაში ე. ი. პოეზიაში პირველი ადგილი უკავია სიბრქნეს და ფორმის სიცხოველეს. აბა რაც შეეხება შინაარსა და რითმების ჩაპოქნა-ჩამოხვეწას, ეს მეორე ადგილზე სდგას. ერთ მაგალითს კიდევ მოვიყვანთ. თუ შევადარებთ ერთი მეორეს რუსეთის პოეტებს—ბალმონტაა და ბრიუსოვს, მეორეს ლექსები და პოემები გაცილებით უფრო დამუშავებულ—ჩამოხვეწილია შინაარსისა და მუსიკალობის მხრივ, პირველის კი ბევრათ ნაკლებათ, მიუხედავათ ამისა, პირველი ე. ი. ბალმონტი უეჭველია გენიოსი პოეტია და მეორე კი მხოლოდ საშვალო ტალანტი. რით?—რასაკვირველია სიბრძნით, მხოლოდ სიბრძნით.

ყოველივე ამის წარმოდგენა კი კაპანელს არ ძალუძს და მიტომაც ისე უხეშათ მსჯელობს ფორმისა და იდეას პროპლემაზე, როგორც ლილიკის, მშვენიერება და სილამაზის, სიყვაოულისა და სხვ. შესახებაც! მაგრამ ფილოსოფის, ესთეტიკასა და სხვ. ასეთ დიდ საკითხებს თავი მივანებოთ და კიდევ ორიოდე წუთით მოქ. კაპანელს სხვა მხრივ დაუკვირდეთ,—გავარჩიოთ მისი შეხედულება ქართველ ქალზე.

ქართველმა ერმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა არის მოსვენება და დამშვიდებით შემოქმედება ქართველობას ჯერ ცისადმი თვალები იჭვიანობის ცეცხლით ერთხელაც არ მიუპყრია. საქართველოსა და ქართველი ხალხს მთელი 2 ათასი წლის გასაქანზე შეუწყვეტლად ცალ ხელში ხმალი ეჭირა და მეორეში კი გუთანი. „ხმალი იცავდა გუთანს, გუთანი ასაზრდოებდა ხმალს“. ერთი სიტყვით, ბრძოლა—შრომის ცეცხლში ქართული სული ისე გამოიბრძმენდა, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულა იმის შესახებ, ღირს თუ არა სიცოცხლე?! ამ ბრძოლა-შრომაში ქართველ მებრძოლს მუდამ მხარს უმშვენებდა ქართველი ქალი. ამას საუკეთესოდ ადასტურებენ ისეთი სახელები, როგორნიც არიან ქეთევან წამებული უნდა თამრო ვაშლოვნელი, რომელიც დიდებული მხედარი იყო ირაკლი მეორეს დროს და რომლის გმირობაც ასეა დახასიათებული ერთი ლექსში.

„ლეკები სულ გავაქციეთ მთვარიანი ღამითა
უკან თამრო გამოუდგა ქანგიანი ხმალითაო
ჩვენცა თამროს გავყევით და გვიკვირდა სუ
თავადთა
ლეკები მთლად გადავრეკეთ, ვარბენინეთ სხ
გზითაო

ამბობს ის და განაგრძობს:

„საზოგადოთ გამბედაობა ახასიათებს ქარ ველ ქალს: სოფ. ანაგაში ცხოვრობდა ერთი ღარ ბი გლეხის გოგო. ერთხელ თურმე ეს ქალი ლელ ზე იყო ასული და ამ დროს ერეკლე მეორემ გა რა გზის პირას; მეფე ერეკლე სპარსულად იყო მოწყობილი; ქალმა ვერ მოითმინა, მოგლიჯა ლე ვი და სთხლიშა მეფეს ზურგში. ქალი დაიჭირ მოაგვარეს მეფესთან (თუ მეფეს მოგვარეს?!), მოკითხეს მიზეზი ასეთი უზნეო ქცევისა. ქალ უპასუხა: მე რა ვიცოდი ის ქართველი მეფე იყ ყიზილბაში მეგონაო“.**)

აი ასეთი გულადი და გამბედავი გახლდა მ 18 ს. თვით „ღარიბი გლეხის“ გოგო, სოფლის ლი. და დიდათ ცდება ბ. კაპანელი, როცა ას რამეს ბრძანებს:

„მხედრული, რაინდული ამპარტავნობა ის რიულად განმტკიცდა ქართველი ქალის ბუნება და ეს იყო ერთგვარი მიზეზი იმისა, რომ საქარ ველოში ოჯახი ვერ მოეწყო, ოჯახის კულტი ტორიულად ვერ განმტკიცდა, ვერ შემუშავდ ქართველი ქალი მოკლებულია ოჯახის პატივის მას, იგი სუსტია როგორც დედა; ქართველ ქალ არ არის წყურვილი ონთოლოგიური ესთეტიზაცი ოჯახის მოწყობისა“. ***) დავუკვირდეთ ამ სი ვებს, კარგად ავწონ-დავწონოთ მისი ღირებულ

განა „ქართველი დედაკაცის ვაჟკაცური სიმ მაცე არის იმის მიზეზი, რომ ქართული ოჯ ვერც მთლათ სასურველ ფორმებში მოეწყო-ჩამ ყალიბდა?! ვინ გაადარჩინა ნეტამც ქართული ოჯ ხი და მოელი ქართველები სამუდამოთ გაქრობ დაღუპვისაგან, თუ არა ძველმა ქართველმა დედ

*) ე. ი. უგზო-უკვლოთაო.

„თამრო ვაშლოვნელი ჩვენი ჟანა დარკია ამისთანა ჟანა დარკები საქართველოში ბევ იყო“.

**) იქვე გვ. 147.

***) იქვე—147.

# ტეხნიკუმის უკანასკნელ დღეებიდან

**ავტოპორტრეტი.**

რითმების ძიებით წიგნაკის დაბეგვრა.
სხვაგვარი გართობის მონახვა ამაში.
ჰკუაში—ქაოსი. დაფაზე—ალგებრა.
შეშლილი ციფრების თავხედი თამაში.

—

უფროსებს ამაშიც ვეგონე ჰკვიანი.
ციფრების სამეფო ვისურვე მოვთელო.
მანიშნეს რომ ყველა—იყო იქ გვიანი.
ავტირდი მას შემდეგ ვით მავრი ოტელო.

—

ვერ დაცხრა ეს გული ალთქმული მდელოთი.
სევდები დაგუბდა და სულში გაება.
მძლავრ გულის ფანცქალით განაჩენს ველოდი
და უცბად... დამარცხდა ალგებრის ღვთაება!

—

ძლიერმა იმედმა სამოთხეს მატარა.
დავიწყდა სიტყვები ნათქვამი-ნაკაზმი.
მე დიდი შევიქენ, ალარ ვარ პატარა.
წარსული ციფრები დავფერფლე სარკაზმით.

—

და ჩავჯექ მომავალ ცხოვრების ცივ ნავში.
მე მსურს რომ ვიხილო ეს გზები უთენთი.
ალარ ვარ რაც ვიყავ, ალარ ვარ ის ბავში
და ჩემი სახელი შეიქნა: სტუდენტი!

გერცელ ბააზოვი.

# ზღაპარი

—გზა შეგვიმოკლდება,—უთხრა ერთმა ახალგაზრდამ მოხუცებულ ტრიფონს, რომელიც მთელ სოფელში საუკეთესო ზღაპრების მცოდნეთ ითვლებოდა. შენც ნუ დაიზარებ და ერთი კარგი ზღაპარი გვითხარი. ისეთი რომ ჩვენი ყურადღება სავსებით მიიპყროს და დაგვავიწყდეს 12 ვერსი რომ გვაქვს გასავლელი.

— „შე დალოცვილო, რა დროს ზღაპარია ამ ჯოჯოხეთურ სიცხეში, ფეხებს ძლივს მოვათრევ.“

ტრიფონ, მაგაზე ნუ გაგვაწბილებ, თუ ხათრი გაქვს! გვითხარი, შეეხვეწა ეხლა მეორე ახალგაზრდა. ტრიფონმა თავი მოიფხანა. ისინი ოთხნი იყვნენ, ქალაქიდან სოფელში ბრუნდებოდენ და ერთი გზა ჰქონდათ.

ჰე, ტრიფონ, აბა დაიწყე! ტრიფონი მალე დაითანხმეს და დაიწყო:

„იმ საშინელ უკულმართს გულქვა, მუდამ ბოროტი თვალით და დალრჭენილი კბილებით გამომყურე დედინაცვალს ბევრი გერები ჰყვანდა და რომ მოგეხსენებათ: სადაც ბევრია, იქ ამრჩევი თვალიც მუშაობს. გერები, რომლებიც მას ხელს უწყობდნენ და ძვირფას საჩუქრებსაც კი მიართმევდნენ ხოლმე ხან და ხან, მასაც არჩეული—და დაახლოვებული ჰყავდა და იშვიათად ავი თვალით თუ შეხედავდა მათ, მაგრამ ასეთი გერები ცოტანი ჰყვანდა; უმრავლესობას უსუსურნი, მცირე წლოვანები რომელნიც დედინაცვლისაგან დაშინებულნი იყვნენ. ბარემ უნდოდათ საწყლებს იმ გულქვა დედაბრის მორბილება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ .რაც დრო მიდიოდა რჩეულნი კიდევ უფრო უახლოვდებოდნენ დენინაცვალს. მაგრამ ამ დროთა სრბოლაში წამოიზარდნენ, გადახედეს ერთმანეთს რაღაც იმედიანი თვალებით და თითქმის ერთხმად გადასწყვიტეს მოხუცებული დედინაცვლის მოკვლა მათი ასეთი დატანჯვისათვის და წვალებისათვის ის საშინელი კი გულთმისანი იყო, მიხვდა მათ განზრახვას და უფროსი მასთან მეტად დაახლოვებული გერი გააქცია მის ძველ გულითად მეგობართან და შეუთვალა: „არიქა „სიბნელევ“ (მისი მეგობრის სახელია) მიშველე. „ცხოვრება“ (დედინაცვალის სახელი იყო) გასაჭირსაო. აკი სიბნელემაც მოაშურა და არ ვიცი მგონი სულ იმის ოინებია გადარჩა ის საზიზლარი ბებერი.

მერე რა ოინები გააკეთა იცით? სულ დააბნელა იქაურობა, ისეთი ნისლი დაუშვა, ისეთი რომ დედაბერს კი არა ცხვირის წინ მიტანილ თითს ვერ დაინახავდით. ასე რომ საწყალ გერებს ეშლებოდათ ხელი ამ „სიბნელის“ ოინებისაგან. არა, თვით „ცხოვრება“ საშინელი, ბოროტი დედინაცვალი რა იყო და მისი მოკავშირე „სიბნელეც“ აბა რა იქნებოდა? ერთმანეთის უარესნი იყვნენ.

ამ დროს ერთმა გერთაგანმა მიაგნო პატარა სანათურს, რომელიც დიდი ხანია მიგდებული იყო მათი ოთახის კუთხეში, აანთო, და ხელში დაიჭირა, მაღლა ასწია და მის შუქზე უკვე გარკვეულად ამჩნევდნენ ყველაფერს. ცხადი იყო, რომ იმედი დაესახათ ბებერი დედინაცვლის ნახვისაც, რომელიც სადღაც კუთხეში მოკუნტულიყო. მაგრამ დახე უბედურებას,—ისეთი ყოჩაღობა გამოაჩნდა იმ წყეულ ბებერ „ცხოვრებას“, რომ ელვის სისწრაფით დარბოდა ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი ოთახიდან მეორე ოთახში. ასწევდა საწყალი გერი სანათურს, მის შუქზე დედაბერიც გამოჩნდებოდა და ის, ის იყო ხელი უნდა წაევლოთ და გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანათ, რომ ამ დროს ის ადგილს გამოიცვლიდა, თვალიდგან აეფარებოდა გერებს.

ასე აწვალა, ასე არბენინა ყველანი რომ სულ არაქათი გამოულია მათ და ხელში კი ვერ ჩაიგდეს მაინც. ბოლოს როგორც იქნა, სანათურის შუქზე რომ დაინახეს კუთხეში მიკუნტული, წრე გააკეთეს ლონე მიხდილებმა და სტაცეს ხელი. მოგეცათ ლხენა, ითრიეს და კიდეც უნდა მოეკლათ.... მაგრამ, „სიბნელე“ აბა რისი მეგობარი იქნებოდა, თუ უკანასკნელ ძალას არ იხმარდა ბებერი „სიცოცხლის“ დასაფარავად. და ისეთი შავი ნისლი დააყარა ირგვლივ, რომ სანათური თუმცა ვერ ჩაუქრო, მაგრამ შუქის ძალა მეტად დაასუსტა და... სიკვდილის განზრახვაზე გერებს ხელი აალებია.

ძმებო! ოდნავ მბჟუტავ სანათურის შუქზე, როდესაც ხეირიანად ველარ ვარჩევთ საგნებს ერთმანეთი არ დავამარცხოთ, მოდით ვსცემოთ. ისე მივბეგვოთ ჩვენი მტანჯველი დედინაცვალი, რომ სიკვდილზე ნაკლებიც არ დარჩეს.

ამ სიტყვებზე ეცნენ: ვინ თმაში, ვინ კისერში, ვინ ფეხში და ვინ ხელში. მანამ ათრიეს სანამ სიკვდილის პირზე არ დადვეს. „სიბნელე“ მშიშარა აღმოჩნდა. როგორც კი დაინახა მიბეგვილი ნათესავი „სიცოცხლე“, მყისვე გაქრა და შავი ნისლი გაიფანტა. სინათლის შუქმა მოიმატა და ეხლა კი ყველაფერს კარგათ არჩევდნენ გერები. დაეჟეილმიბეგვილი დედინაცვალი იქვე მიაგდეს და რჩეული გერებს მიერ მიტანილი საჩუქრები გამოზიდეს, გაიყვეს. და ბოლოს თავისი გამარჯვების აღსანიშნავათ, სადილიც გამართეს. ის ძმა კი, რომელსაც სანათური ეჭირა ხელში, მეტად ფრთხილი იყო. დედინაცვლის შიში ალარავის ქონდა მართალია, მაგრამ დამალული „სიბნელის“ კი ეშინოდა და სანამ მისი ძმები სუფრას შამოუსხდებოდნენ და პურის ჭამას დაიწყებდნენ, მანამ დადიოდა, ყველა კუნჭულს ათვალიერებდა, და როდესაც დარწმუნდა, რომ „სიბნელე“ იქ ახლო-მახლო ალარ იყო, გულ დამშვიდებული დ მხიარული სახით გადახედა თავის ძმებს, რომლებიც მწყობრად [illegible] დომოდნენ გაშლილ სუფრას და უთხრა: თუ გეშინიათ, ძმებო! ჩვენი მტანჯველი დედინაცვალს ხომ, გაუსწორეთ ძვალი და რბილი, მაგრამ „სიბნელეც“ ცხრა მთას იქით გადაკარგულა. ისიამოვნეთ, იმხიარულეთ...

ჰა! მობძანდი, მობძანდი შენც ჩვენთან. ჩვენთან დაჯექი. ერთხმად მიაძახეს ძმებმა ძმას, რომელსაც სანათური ხელში ეჭირა კიდევ, იგიც მოვიდა, მაგრამ ადგილი ყველა დაკავებული დახვდა და ძლივ-ძლივობით სუფრის ბოლოში მოიკუნტა ისე. რომ ხელის განძრევაც მეტი მჭიდროებისგან ეძნელებოდა ლუკმის პირში ჩანადებად. მაგრამ კმაყოფილი იყო, რადგანაც ძმების სახელებზე მხიარული ღიმილი იყო აღბეჭდილი. ხო მოგეხსენებათ ავი კაცი ყველგან ავიაო“ ბებერმა დედინაცვალმა თვალი შეატანა იმ ძმას, რომნლსაც ხელში სანათური კიდევ ეჭირა და ხრინწიანი ხმით ჩაილუღლუღა: მუდამ ჟამს იყავ მაგ სანათურით შენ განუყრელი და მეტ სახელად დაქმეოდეს „მასწავლებელი“ აკი იმ შეჩვენებული დედინაცვლის წყევლამ გასჭრა თურმე. ამბობენ რომ მას შემდეგ, ის საწყალი ძმა სანათურთან განუყრელი დარჩა დღით თუ ღამით, ძილში თუ ღვიძილში დამჯდარი თუ ამდგარი სანათურს ათრევს. სულ მარჯვენა ხელში უჭირავს. ძმებთან რომ პურის საჭმელად დაჯდება, მუდამ სუფრის ბოლოს იკუნტება და მარცხენა ხელით ლუკმას იღებს, აბა თქვენც იფიქრეთ: მარცხენა ხელით აღებული ლუკმა გააძღებს კაცს?

საწყალო, საწყალო, წამოიძახეს ახალგაზრდებმა, როდესაც ტრიფონმა ზღაპრის გათავება აუწყა მათ.

ტრიფონ! ეს ხომ ზღაპარი იყო და სინამდვილეშიც ხომ მასე იყოს, ხომ გადაირეოდა ის კაცი. აბა მარჯვენა ხელი დაკავებული და მარცხენათი პურის ჭამა!.. მუდამ მშიერი არ იქნებოდა? აკი მშიერიაო, ამბობენ. „ნეტავ ტანზე როგორ იძრობს“ ან როგორ იცვამს? შიშველიაო ამბობენ!—უპასუხა ტრიფონმა.

Топ.

# საუბარი მღვდელთან

**12. მრეწველობა, შეერთებულ მიწადმოქმედებასთან.**

**წვრილი მრეწველობა ინგლისში.**

სამწუხაროდ, ინგლისელებს არ მოეპოებათ დაწვრილებითი ცნობები წვრილ სამრეწველო წარმოებების შესახებ და არც იმ ხალხის რაოდენობის შესახებ, რომელიც ჩაბმულია ამ საქმეში. ასე რომ ცნობები მსხვილი მრეწველობის კონცენტრაციის (თავმოყრის, შემჭიდროების) შესახებ მხოლოდ მათი ავტორების პირად შთაბეჭდილებების ნაყოფია და არა მეცნიერულად დამუშავებულ სტატისტიკურ ცნობებისა, დღევანდლამდე ინგლისში არ მოიპოვება ისეთი უბრალო ცნობებიც კი, როგორიც არის: ქარხნების რიცხვი, რომლებშიაც მუშაობს ათასიდან ორი ათას კაცამდე, ხუთასიდან ათასამდე, ორმოცდათიდან ხუთასამდე, ორმოცდაათ მუშაზე ნაკლები და სხვა. მხოლოდ ახლა, როცა 1895 წელს, შემოღებულ იქმნა საქარხნო მეთვალყურეობა (ინსპექცია), 1898 წელს გამოვიდა ანგარიში, რომლიდანაც მოგვყავს შემდეგი ცნობები:

1) საფეიქრო ქარხნები იყო 10.883, 1.051.564 მუშით ორივე სქესისა, ასე რომ საშუალოთ თითო ქარხანაზე მოდის 97 მუშა;

2) სხვა ქარხნები იყო 79.059, 2.755.460 მუშით ორივე სქესისა, თითოზე მოდის 35 მუშა;

---

…აცმა და მისმა მებრძოლმა სულმა?! ქართულ ოჯახს რა ღირებულებაც ქონდათ წარსულში, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის,—ეს ქართველი დედის *) ამაგით აიხსნება და რაც ნაკლი, აქვს დღევანდელს ჩვენს ოჯახს—ამაში თავიდან ბოლომდის პასუხისმგებელნი ქართველი მამაკაცები არიან. და ეს იმიტომ, რომ ქართველმა ვაჟკაცმა რუსების ხელში დაჰკარგა ისტორიული თვისებანი —რაინდობა და სიამაყე, უშიშრობა და სარდლური გამჭრიახობა და გარდიქმნა მონათ, უსაზრალესო ლაქიათ.

ამას გარდა, ყოვლად დაუშვებელია ერთის მხრივ ანდრომახასა და პენელოპას და მეორე მხრივ თინათინისა და ნესტან-დარეჯანის დაპირისპირება! ყოვლად შეუძლებელია, ვამბობთ, რადგან საბერძნეთი ერთნაირს პირობებში იმყოფებოდა, საქართველო—მეორე ნაირში; ჰომიროსი ქრისტეს დაბადებამდის რამდენიმე საუკუნით ადრე ცხოვრობდა და შოთა რუსთაველი კი ქრისტეს შემდეგ მე-XII ს. წარმოიშვა. ჰომიროსი მგოსანთა კაროლია, რუსთაველი პოეტების მეფეა. ვიმეორებთ. ამ ორი ერის ასულთა ერთიმეორესთან დაპირდაპირება დიდი შეცდომაა. დიახ, ეს ისეთი დიდი შეცდომაა, როგორც შემდეგიც: „ოჯახის სიყვარული ქართველ ქალში ჩაჰკლა ისტორიულმა კულტმაო“.

ქართველ ქალს აპიროვნებდა და ასულდგმულებდა ისტორიულ მსვლელობაში მხოლოდ და მხოლოდ ქართული ოჯახის დაცვა-გაძლიერება, რითაც, თავისთავად ცხადია, ქართველი ერის გადაგვარება-ამოფხვრისაგანაც დახსნას ენერგიულათ ე. ი. თოხითა და ცულით თუ ხმლითა და შუბითაც ხელს უწყობდა. და თუ ის ამას იდეალურათ ვერ ასრულებდა, ეს აიხსნება არა მისი დედობრივ-ოჯახური სულის უსახეობითა და პასივობით, არამედ იმ ურიცხვ მტერთა შემოსევით, რომელთაც საქართველოსა და ქართველ ერს ალყა შემოარტყეს და ყოველ წუთში მის დაგლეჯასა და ჩაყლაპვას ლამობდენ. *)

აი ამიტომაც **) მოქ. კაპანელის ისეთი დებულება, როგორიცაა „ისტორიამ დაღუპა ქართველი ქალი, ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო,“ ყოვლად მიუღებელია. საქართველო და ქართველი ერის ბრწყინვალე ისტორიამ კი არ დაღუპა ქართველი ქალი, პირიქით, ასახელა და უკვდავების და მარადიული ქება-დიდების შარავანდედით შემოსა მისი სახე. და რა კი ასეა და შეუძლებელია სხვანაირად რომ იყოს, მაშასადამე, მოქ. კაპანელის დებულების მეორე მუხლი—„ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო“—პირდაპირ ბაღლური ტიტინია და მეტი არაფერი.

განვაგრძოთ ქვევით.

„დედობის ინსტიქტის სისუსტემ და უოჯახობამ წარმოშვეს საქართველოში მოლაყლაყე, ანტისახელმწიფოებრივი და დეგენარატიული მოდგმა ღორმუცელა, თქლაფია პერსონალისტებისა და მეოჭორე ინტრიგების: კულტურული შემოქმედებისათვის საჭიროა ორგანული ეროსი, ტრფიალების განცდა, კეთილშობილი იდეალიზმი,—საჭიროა იმედი, ხალისი, მოქნილობა—საჭიროა სული ეროტიული—საჭიროა ქალი და ოჯახი“. (იქვე·გვ. 148 149).

ამ სტრიქონებს ჩვენ დიდის აღტაცებით აღფრთოვანებით ვუსვამთ ხაზს. და ამას სჩავდივართ არა იმიტომ, თითქოს ამ სიტყვებში თანამედროვე ქართველი დედაკაცის მკვეთრი დახასიათება იყოს. არა და არა, ამ მიზიური სიტყვებით მხოლოდ და მხოლოდ ის უსუსური ლეკვები ხასიათდებიან, რომელნიც ჩვენი სახელოვანი წინაპრების, ძველი საქართველოს უძლევი ლომების შვილების სახელს ატარებენ და რომელთაც, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვსთქვათ, „დიდი მამული დაივიწყეს და პატარა გააშენეს“, დიდი დედა—ქართველი ერი შეიძულეს და პატარა დედა—ოჯახი ვითომდა შეიყვარეს, მაგრამ ნოქრის ნოქრობასა და მონის მონობაში ვერც პატარა მამული და ვერც პატარა დედა ვერ განავითარეს,— ვერ განავითარეს, რადგან ისეთ სამარცხვინო—მდგომარეობაში ჩავარდენ, რომელზედაც სამართლიანათ ამბობს აკაკი წერეთელი.

„დედის სული დავიწყნიათ, დედინაცვალს ფიცულობენო“! დიახ, ხმალი დაჟანგდა, გონების სიმახვილე დაჩლუნგდა, თავისუფლება ნოქრობამონობათ (და ისიც ნოქრისა და მონის ნოქრობათა და მონობათა შეიცვალა, დიდი მამული პატარამამულათ, ქართული ოჯახი-გაპარუსკებული გადაგვარებული ოჯახათ, პოლიტიკური გამჭრიახობა—ღერბიან ქალალდის წარმოებათ და სხვ. და სხვ. და, ამნაირათ, მოკვდა ძველი ბრძოლა—შემომქმედი ქართველი ვაჟკაცი, დალაჩრდა, გადაგვარდა და მან თანაც მოჰკლა ძველი ქართველი-დედა, მხნე და დარბაისელი, უტეხი ვნება და დაუქანცელი სული,—მოჰკლა და მოსპო! ამიტომაც თანამედროვე ქართველ დედაკაცს შეუძლია ცნობილ ფეოდალ ერისათვის სიტყვები სამართლიანათ ესროლოს თავის ძმას:

„შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა-გიხაროდეს!“ და თუ ამ სიტყვების სამართლიანობას არა, სხვას რას ამტკიცებს ზემო აღნიშნულ „კრიტიკოსს“ თ. ბარათაშვილის განცვიფრება, დიდი ილიას ლექსით გამოწვეული?! კიდევ უკეთესი მაგალითი. მეორმოცე წლებში ქართველობამ ასეთი „პრობლემა“ წამოაყენეს პრესაში გადასაჭრელათ: „როდესაც ქალი ვარდს ხელში აიღებს და ცხვირთან მიიტანს, ვინ ვის ჰყნოსავს—ქალი ვარდსა თუ ვარდი—ქალსა,“ სხვა სიტყვებით, ქალია თვით ვარდი და ვარდი ქალი თუ წინააღმდეგი. ამაზე მეტად დაცემა ერის შვილებისა შეიძლება წარმოვიდგინოთ?! მერე, როგორ გგონიათ, ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ არიან „მოლაყლაყე, ანტისახელმწიფოებრივი და დეგენერატიული მოდგმა ღორმუცელა, თავქლაფია პერსონალისტებისა და მეჭორე ინტრიგანები“ – კაპანელები და მათი ძმები, თუ ქართველი ქალები, რომელთა სახელოვან წინაპრებს ერთხელაც არ უღალატიათ სამშობლო —საქართველოსა და ქართველ ერისთვის?!

რასაკვირველია, პირველნი და მხოლოდ ისინი!

თუ ანტისახელმწიფოებრივი ადამიანი, დეგენერატი და. ღორმუცელა, უვიცი და უზრდელი არა, აბა რომელი პატიოსანი და ელემენტარული გაზდილობის მქონე პიროვნება. დასწერს შემდეგ უზრდელობა-უხეშობას...

„ადამიანი—პოეზიისა და ფილოსოფიის საუნჯეა ჭეშმარიტებათა ზვიადი მეტყველი, კულტურისა და ცივილიზაციის მესაჭე, ჰუჰყიანი, სუნიანი და მყრალია, როგორც ტაბასტიანი დედა-კაცი (კურსივი ჩემია).*)

ესმის თუ არა ამ სიტყვების დამწერს, „შემოქმედებითი გამჭრიახობის“ მქონე „ფილოსოფოს“, რომ ის ამით ჯერ ერთი, მთელ კაცობრიობას შეურაცყოფს, შემდეგ—ქართველი ერის სულისა და სხეულის იდეალურ სიწმინდე-სისპეტაკეს, შემდგომ—ყველა ქალებს საერთოთ და კერძოთ ქართველ მანდილოსნებს და, ბოლოს, უმთავრესად და განსაკუთრებით კი იმ ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად ახლოსაა მასთან, მის სარეცელს იზიარებს და, სამწუხაროდ, მისი ცოლის სახელს ატარებს?!

დიახ, ამ სიტყვებით შეუძლია „იამაყოს ბ. კაპანელმა,—შეუძლია იამაყოს, ხაზგასმით ვამბობთ, ვინაიდან მასში მეტყველებს ძველი და საშვალო საუკუნეთა უხეში ფანატიზმის სული, რომელმაც ათეულ მილიონობით იმსხვერპლა კოცონებზე დაფერფლითა და სხვა და სხვა ნაირათ წამება—დასჯით ის არსება, რომელიც სამართლიანათ მშვენიერებისა და უკვდავების სიმბოლოთა ცნობილი და რომლის სახელია—ქალი ე. ი. მთელ მსოფლიოს ნახევარი!

გზა მშვიდობისა, ბ. კაპანელო! განაგრძეთ თქვენი „შემოქმედებითი გამჭრიახობით—ბლომათ „ახალ ფილოსოფიურ-ესთეტიური სისტემის XX სათაურით„ სული და იდეა“-სთან გიმნაზიელის „დღიურის“ გამოშვება. განაგრძეთ და ყველაფერი დაივიწყეთ, ოღონდ კი უხეშობა და უზრდელობა არ დაგავიწყდეთ!..

ქ. ბათომი, 1923 წ. მაისის 19.

გიზიკო ალიაში.

---

*) განა ეხლანდელ ქართველ ქალსავით უსუსური რომ ყოფილიყო ძველი ქართველი დედა, საქართველო და ქართველი ერი დღემდის მოაღწევდა?! ვერა და ვერა! კარგი კი იქნება ბ. კაპანელი განსვენებულ გიორგი ზდანოვიჩის (მაიაშვილის) „ძველი ქართველი დედაკაც“-ს რომ წაიკითხავდეს.

*) იქვე გვ. 148.

**) ამ მოვლენით აიხსება აგრეთვე ისიც, რომ ქართველმა ერმა ე. ი. მისი სახელმწიფოს მესვეურებმა ვერ შესძლეს ისეთი მტკიცე მდგომარეობის შექმნა, რომელიც ჩვენს ერს ხანდისხან მაინც გაანთავისუფლებდა მტერთაგან წალეკის შიშისაგან.

*) იქვე—გვ. 95.

4) სხვა და სხვა სახელოსნოები იყო 89.814, 676.776 მუშით, თითოზე მოდის 8 მუშა; ხოლო სულ იყო 178.756 ქარხანა, 4.483.800 მუშით, საშუალოთ კი 25 მუშით თითო ქარხანა.

აღსანიშნავია მეტადრე ცნობები წვრილ სამრეწველო წარმოებებზე, რომლებშიაც ანგარიშის ცნობით მუშაობდა 2.755.460 მუშა 79.059 ქარხანაში, ე. ი. 35 მუშა საშუალოთ თითოში. გარდა ამისა ინგლისში ყოფილა კიდევ 88.814 უმანქანო სახელოსნო, 8 მუშით თითოში. ასეთი რიცხვები კი, როგორიც არის 10.883 მსხვილი ქარხანა და 178.756 და 88.814 წვრილი წარმოებანი და 35 და 8 მუშით თითოში საშუალოთ, აშკარად აბათილებენ იმ ზღაპარს, რომ, ვითომც, მსხვილი წარმოებანი ჰყლაპავენ წვრილებსა! პირიქით, ციფრები სულ წინააღმდეგს გვეუბნებიან და, მართლაც, ყველაფერი ამტკიცებს, რომ წვრილი წარმოებანი თუ არ ემატება, თანასწორ მაინც ხომ მიდიან მსხვილ ნაწარმოებებთან!...

ავიღოთ საქსოვი ქარხნები: ბამბეულისა, მატყლისა, აბრეშუმისა, სელისა და სხვა. ბევრს გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ საფეიქრო მრეწველობაში დღევანდლამდე არსებობს მრავალი წვრილი სახელოსნო. ასე რომ თვით ვესტ-რაიდინგის ოლქში, რომელსაც პირველი ადგილი უკავია ბამბეულის წარმოებაში ლანკაშირის შემდეგ, 3.210 ქარხანაში მუშაობდა 237.440 კაცი, რაიცა შეადგენს 73 მუშას თვითეულ ქარხანაზე; თვით ბამბეულის სამრეწველო შუაგულში, ლანკაშირში, 3.132 ქარხანაში მუშაობდა 434.609 მუშა, რაც შეადგენს 139 მუშას თვითეულ ქარხანაში; ნოტინგამშერის ოლქში, რომელიც არის შუაგული აბრეშუმის ქსოვისა მანქანებით, 386 ქარხანაში მუშაობდა 18.434 მუშა, რაც შეადგენს 48 მუშას თითო ქარხანაში.

ამასვე ვხედავთ ინგლისის დანარჩენს ადგილებში: 49 საგრაფოში მოქმედებს ორი ათასი საფართლო ქარხანა და მომეტებულად თვითეულ მათგანში მუშაობს არა უმეტეს ასი, ორმოცდაათი, ორმოცი, ოცი, ათი და ათზედაც კი ნაკლები მუშა. მაგალითად, 1410 ქარხანას აქ ჰყავს თვითეულს 50 მუშაზე ნაკლები, სულ 42,300 კაცი. ცხადია, რომ სხვილ წარმოებას ვერც აქ ჩაუყლაპავს წვრილი წარმოება!..

ასეთი სურათები ვერ გააკვირვებს ვერავის, ვინც ნამდვილათ იცნობს ინგლისის მრეწველობას. თეორეთიკოსებს გამოეპარათ იგი, რადგანაც ესენი მხოლოდ წიგნებით ეცნობიან საქმეს. აიღეთ რომელიც გნებავთ ქვეყანა და ნახავთ, რომ თანასწორ დიდი ქარხნებისა, იქ არსებობს სხვა ათასი წვრილი წარმოებანიც, რომლებიც ყვავიან და ფრიად წარმატებითაც აწარმოებენ თავიანთ საქმეებს, რადგანაც დიდ ქარხნებს არ შეუძლიანთ აკეთონ და თავი დაუდონ ისეთს პატარა საქმეებს და ნაკეთობას, რასაც წვრილები აკეთებენ. ამასთან, ესენი ფრიად ცოცხალი დაწესებულებაა და ხელად იცვლებიან ამა თუ იმ საქმეს, თუ ხედავენ, რომ გარემოება დაჟინებით თხოულობს ამას. ეს ითქმის მეტადრე ნარევ ფართლეულის ქსოვაზე, როცა ის კეთდება მატყლისა და ბამბის ძაფების შერევით...

წვრილ წარმოებათა გახშირებას და დაარსებას ხელი შეუწყო კიდევ იმ გარემოებამ, რომ, როცა პირველად დაარსდა დიდი ქარხნები და ამათმა პატრონებმა შეიძინეს მათთვის დიდრონივე მანქანები, სამანქანო ქარხნების პატრონებმა, რაკი ნახეს, რომ მათს დიდ მანქანებს მუშტარი მოაკლდებაო, დააპატარავეს იგივე მანქანები და წინადადება მისცეს წვრილ წარმოებათა და სახელოსნოთა პატრონებს შეერთებულიყვნენ ორი, სამი თუ ხუთი კაცი და ერთად გაეხსნათ იგეთივე ქარხნები, როგორებიც დიდრონი მანქანების პატრონებს ჰქონდათ, იმ გარჩევით, რომ დაპატარავებული მანქანები შეეძინათ თავიანთ ახალ ქარხნებისთვის.

ერთი სიტყვით, არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ სხვილი მრეწველობა დროს მიმავლობაში სულ ჩაჰყლაპავს წვრილ წარმოებებს, რადგანაც აშკარად ვხედავთ ყველანი, რომ წვრილ წარმოებებს ნაკლები წარმატებით არ მიჰყავთ თავიანთი საქმე!...

მეორე მხრით, რადგანაც მსხვილი ქარხნებისთვის სარფაა უფრო ერთგვარი ფართლეულის კეთება. ე. ი. ან ბამბისა, ან მატყლისა, სელისა თუ აბრეშუმისა და თან არა უმეტეს 150 ანი 200 მუშით თვითეულ მათგანში, ხოლო, დანარჩენს შემთხვევაში სარფაა უფრო ნაკლებად დიდი წარმოებანი, ეს გარემოებაც დიდად ხელს უსყობს წვრილ ნაწარმოებთა დაარსებას და გავრცელებას, რომლებშიაც საჭიროა არა უმეტეს 10, 20 და 50 მუშა და, ხშირად, ათ მუშაზე ნაკლებიც, როგორის არის უმანქანო სახელოსნოები...

ახლა, თუ შეუდგებით მარტო საქსოვ ქარხნებზე, დავინახავთ აუარებელ წვრილ ქარხნებს იქვე მსხვილი ქარხნების გვერდითვე, გარშემო. ასე რომ ესენი თუმცა სრულიად დამოუკიდებელი ქარხნებია, მაინც აუცილებელი დამატებაა დიდი ქარხნებისათვის. მერე, ცოტა კი არ გეგონოთ ასეთი წვრილი ქარხნები? ინგლისი სავსეა ასეთი წვრილი ქარხნებით, თვითეულ მათგანში საშუალოთ ითვლება არა უმეტეს 35 მუშისა, სულ კი მუშაობს ამათში ორ მილიონ ნახევარზე მეტი მუშა...

შემდეგ. დიდს ქარხნებსავე ეკუთვნის ჰიმას (რეზინის) ქარხნები (თვითეულ მათგანში ითვლება საშუალოთ 125 მუშა). მსხვილ ქარხნებსვე ეკუთვნის 456 ქარხანა შუშისა, რადგანაც თვითეულ მათგანში ითვლება საშუალოთ 87 მუშა. ამათ მოსდევს მადნები და სალითონო საქმეები, რომლების ჩვეულებრივ მიეწერება მსხვილ წარმოებებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აქაც კი ბევრია წვრილი წარმოებანი. მაგალითად, შეფილდიში არის ლითონის ჩამოსასხმელი ქარხნები, რომლებშიაც, ხშირად, მუშაობს 5—6 კაცი თითოში. დიდრონი მანქანების საკეთებლად, რასაკვირველია, არსებობს მთელი რიგი დიდი ქარხნებისა, როგორც არმსტრონგისა, უიტუორისა, ვულვიჩის სახელმწიფო ქარხნები და სხვა. მაგრამ, შესანიშნავია, რომ ამათ გვერდით არსებობს აუარებელი წვრილი და წვნიკი ქარხნები და ყველა ესენიც ისეთსავე კეთილდღეობაში არიან, როგორც თვით უდიდესი ქარხნები...

ივ. როსტომაშვილი

## პროვინციაში

**ილორი** III (ქ. სამტრედიის უბანი). ამხ. ირაკლი ბიხუას ხელმძღვანელობით ამ ორი წლის უკან დაარსდა დრამატიული წრე, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში თითქმის სისტემატიურად მართავდა წარმოდგენებს, რითაც დიდ დახმარებას უწევდა ადგილობრივ მცხოვრებთ გათვითცნობიერებაში და სულიერ საზრდოს მიღებაში, მაგრამ საწუხაროდ ამხ. ირაკლი ბოხუა, ოჯახური მიზეზების გამო, იძულებული გახდა თავი დაენებებია ასეთ სიმპატიურ საქმისათვის და ბათომში წასულიყო.

ეხლა ამხ. ირ. ბოხუა კვლავ ბრუნდება თავის სოფელში და თავს უყრის იმ ძველი სცენის მოყვარეებს, რომელნიც მის წასვლის შემდეგ გაიფანტენ და სრულებით მიატოვეს დრამატიული წრე.

ჩვენ სრული სიხარულით და სიამოვნებით ვეგებებით ამხ. ირ. ბახუას ასეთი კეთილი საქმის დაწყებას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ის ამ დარგში ბევრ რამეს გააკეთებს, როგორც ნიჭიერი ძველი სცენის მოყვარე; მას კარგათ იცნობს ბაქოს ქართველობა, სადაც პირველათ ამ 15—18 წლის უკან დაიწყო სცენაზედ მუშაობა. აგრეთვე აქვს მას დაწერილი მრავალი პიესები, კომედიები, მაგრამ მათ შორის უპირველესი ადგილი უკავია „ძმის მკვლელს“, სადაც გადაშლილია მთელი სურათი გლეხის ცხოვრებისა და მისი უსაზღვრო სიყვარული მიწისადმი, რომელიც გამოწვეული იყო მიწის უქონლობის გამო დასავლეთ საქართველოში.

მაშ უსურვოთ ამხ. ირ. ბოხუას ენერგიული და ნაყოფიერი შრომა.

სალამი მის დაწყებულ საქმეს!

კაჟი.

## პარტიაში

**აბაშა.** კვირას, ივნისის 3-ს, შესდგა აბაშის რაიონის მემარცხენე სოც.-ფედერალისტა სარევოლიუციო პარტიის წევრთა საერთო კრება. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ამხ. კ. ჩაჩავა და მდივნად რ. კაჭარავა.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საწევრო გადასახადის დაწესება, 2) გაზეთ „ტრიბუნის“ გამოწერა აბაშის უფასო სამკითხველოსთვის, 3) ახალი პრეზიდიუმის ამორჩევა, 4) პასუხისმგებელ კორესპონდენტის ამორჩევა, 5) სარევიზიო კომისიის არჩევა და 6) პარტიული მუშაობის გაძლიერება.

1) საკითხის შესახებ დამსწრე ამხანაგების თავ-თავიანთი აზრის გამოთქმის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ შემოღებულ იქნეს საწევრო სავალდებულო თვიური გადასახადათ 100 ათასი მანეთი, ამასთანავე კრებამ დაადგინა, რომ პარტიული ფონდის გასაძლიერებლად მოსამსახურე ამხანაგების თავიანთი ჯამაგირის ორი პროცენტი გადაეცეს პარტ-ორგანიზაციას, 2) გაზეთ „ტრიბუნის“ გამოწერის გამო კრებამ საჭიროდ დაინახა იქნეს გამოწერილი ერთი ცალი „ტრიბუნა“ აბაშის უფასო სამკითხველოსთვინ, რისთვისაც იქვე იქნა შეგროვილი ფული დამსწრე ამხანაგებისაგან 3) ახალი პრეზიდიუმის ამორჩევა კრებამ მიზან შეწონილად დაინახა და დაადგინა, რომ პრეზიდიუმი იქნეს არჩეული სამი კაცისაგან, რომლის შემადგენლობაში შევიდენ: ორი ძველი პრეზიდიუმის წევრი 1) ჯაბა ჩიქოვანი, 2) რაფიელ კაჭარავა და ახლად ამორჩეული 3) კოლია ჩაჩავა. 4) პასუხისმგებელ კორესპონდენტის დანიშვნა კრებამ ერთხმად მიიღო და იქნა არჩეული ამხ. გრიშა რუხაძე. 5) სარევიზიო კომისიის წევრად იქნენ არჩეულნი: 1) პ. გვაზავა, 2) მ. გვაზავა და 3) ე. ლატარია. 6) პარტიული მუშაობის შესახებ ამხ. მდივნისაგან იქნა წარმოსთქმული სიტყვა, სადაც აღნიშნა მან, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგების მოვალეობას შეადგენს, რაც შეიძლება მეტი ენერგიულად მუშაობა, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ ამ რაიონში ჩვენი პარტიას, მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ რაიონში პარტიული მუშაობა თანდათანობით ძლიერდება, ყოველ დღე ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი მატულობს და მსურველებიც ბევრი გვყავს პარტიაში ჩასაწერად. ის იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მოკლე ხანში აბაშის ჩვენი პარტ-ორგანიზაცია იქნება მრავალ-რიცხოვანი, სადაც ექნება თავი მოყრილი ნამდვილ მუშა ამხანაგებს, რომლებიც გვერდით ამოუდგებიან კომუნისტებს და მათთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ საბჭოთა მთავრობას ევროპიელ ბურჟუა-კაპიტალისტებისაგან და ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. ამხ: მდივანმა აღნიშნა, აგრეთვე; თუ როგორი თანაგრძნობით უყურებს დღეს საბჭოთა მთავრობა ეროვნულ საკითხს, რომელ საკითხის ერთგულ-ნამდვილ დარაჯათ გამოდიოდა ჩვენი პარტია, როგორც დღემდე ისე მ... მავალშიაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ამ... შემდეგ ის იმედს გამოსთქვამს, რომ კომინტერნ... გაუწევს ყოველგვარ ანგარიშს ქართველ საკით... და ამით საშუალებას მისცემს ყველა ერს გვერდ... ამოუდგენ მათ და მათთან ერთად ლახვირი ჩას... კაპიტალიზმს.

მოისმინა, რა სიტყვები ამხ. მდივნისა კრებ... ერთხმად სურვილი გამოსთქვა, რომ შეუდგეს ყვე... ლა პარტიული ამხანაგი ენერგიულ პარტიულ მ... შაობას, იქნეს დაარსებული აბაშის რაიონის ყვე... ლა სოფლებში იაჩეიკები და რაც შეიძლება პა... ტიული კრებები იქნეს მოწვეული ხშირად. ბოლო... კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ ეთხოვოს მთავა... კომიტეტს რაც შეიძლება მეტი ყურადღება მია... ციოს და აგრეთვე დაევალოს სენაკის სამაზრ... პარტიულ ორგანიზაციას მეტი ენერგიულად მუშ... ობა ვინემ დღემდი.

რ. კაჭარავა.

## ხელოვნება

**ლადო მარჯანიშვილი**

(მომავალ იუბილეს გამო.

დასავლეთ საქართველოს ოდესღაც მნიშვნელოვანი ქალაქი ფოთი, დიდი ხანია, რაც ჩამორჩა ქართულ კულტურას და ტრადიციას, რომელიც სანახევროდ იმსხვერპლა უცხოელი „მატროსების“ სულმა, როგორც სანაპირო ქალაქი. ყოველ დღიურად ყოველ კუთხიდან შემოსულ გემებს მოჰქონდათ თავისებური შაბლონი, რომელსაც შეიძლება ბევრი კიდეც გრძნობდა, მაგრამ მაინც ჭკულხელდაკრეფილი შესცქეროდა ამ პატარა კუთხის ასეთ უბედობას, და შეიძლება იმიტომ იყო, რომ ცენტრმა ის კიდეც შეიძულა, ვინაიდან ქართველი ჭეშმარიტი ხელოვანი ფოთს იშვიათად უნახავს.

აქ ჩვენ დეტალურად არ შეუდგებით, საკითხის განხილვას, ვინაიდან ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ, ხოლო მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის ქართველ საზოგადოების მიერ დიდს სიმპატიას იპყრობს, სცენის დაუღალავი მუშაკი ლადო მარჯანიშვილი, აქ ინსტიქტურად მაგონდება მარჯანიშვილის გვარი რომლებმაც შეიძლება იხსნას ჩვენი თანამედროვე სცენა.

თუ კოტე მარჯანიშვილის მადლიანი ხელი გახდა სიმბოლო რუსთველის თეატრის, ფოთის ყოველი მოქალაქე აშკარად აფასებს სიძლიერეს უკ... ჰალარას ლადო მარჯანიშვილს.

ის იშვიათია ფოთის ღარიბ სცენაზე, მაგრა... სამაგიეროდ ყოველი მისი დადგმა იძლევა სრუ... სურათს ევროპის ტეხნიკურად და ესთეტიკურა... დასრულებულ თეატრისა, რომელიც უსათუოდ სენ... საციას იწვევს შეგნებულ მასების თვალშიაც.

მისი რეჟისორობით დაიდგა მრავალი ტეხნი... კურად რთული პიესები და სხვათა შორის ბიქტო... გაბესკირის „პოეტი ორეულით“, ლადო მარჯანი... შვილის დასიც საქართველოს მასშტაბით ისეთ... ფარულია, როგორც თვით რეჟისორი, მაგრამ პო... ტენციაში ძლიერი და კანონიერ პრესტიჟის მქონე... ჩვენ აქ გვსურს ვისაუბროთ მის მიერ მოწყობილ... ბალეტსა და მუსიკაზე, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივი მოვლენა იყვეს, მაგრამ ფოთში უთუოდ არა ჩვეულებრივი მოვლენაა.

აქვე არსებულ სამეცნიერო—სალიტერატურო წრის მიერ განზრახულია მოეწყოს მისი 30 წ. მოღვაწეობის იუბილე, რასაკვირველია მხოლოდ ქ. ფოთის ფარგლებში, ხოლო ისეთი წმიდა და ნათელი როგორც ყოველი მისი დადგმა იყო.

გ. ჟვანია.

## მთავრობის მოქმედებანი —და განკარგულებანი—

### დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით ჩამორთმეული ქონების სარგებლობის წესის შესახებ.

1. ყოფილ მესაკუთრეს, რომელსაც ქონება, ამა დეკრეტის გამოცემამდე ჩამოერთვა ნაციონალიზაციისა, მუნიციპალიზაციისა და რეკვიზიციის გზით, ან ვისი ქონებაც, საერთოდ, გადავიდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების მფლობელობაში და აგრეთვე მშრომელთა მფლობელობაში,—უფლება არა აქვს მოითხოვოს ამა ქონების უკან დაბრუნება.

**შენიშვნა:** დავის გადაწყვეტის წესი იმ ქონების შესახებ, რომელიც ჩამოერთვა ყოფილ მფლობელს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიის მიერ მიღებულ მიწის რეფორმასთან (1923 წლის თებერვლის 23-ს დადგენილება) დაკავშირებით,—განისაზღვრება ამ საგანზე არსებული ინსტრუქციებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარისა.

2. სხვათა შორის ყოფილ მესაკუთრეს არ შეუძლიან მოსთხოვოს ფაქტიურ მფლობელ საოჯახო ნივთები (ავეჯეულობა, ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ჭურჭლეულობა და ს ხვ.),—უკეთუ ეს ნივთები მიღებულია სათანადო სახელმწიფო (კომუნალური) ორგანოებისაგან დადგენილი წესით.

**შენიშვნა:** წესი ესე არ გავრცელებულა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ნივთი შესანახად ან სარგებლობისათვის გადაეცემა მის ფაქტიურ მფლობელს იმ პირთან შეთანხმებით, რომელიც წარადგენს მოთხოვნას ქონების დაბრუნების შესახებ.

3. საოჯახო ნივთები, რომელიც მე—2 მუხლში გათვალისწინებული წესით გადცსულია მუშათა და მოსამსახურეთა სარგებლობაში, დარჩება მათ სარგებლობაშივე იმ დრომდე, ვიდრე ისინი დასცლიან დაჭერილ სადგომს.

**შენიშვნა:** სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ნება ეძლევა, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დამტკიცებით, გამოსცეს დაწვრილებითი წესი ამა ნივთების სარგებლობისათვის.

4. ქონების ყოველგვარი კონფისკაცია მომავლისათვის შეიძლება მოხდეს მხოლოდ რეკვიზიციისა და კონფისკაციის კანონის წესისამებრ და საქმე ქონების არაკანონიერი ჩამორთმევის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს სასამართლო დაწესებულებათა მიერ.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. ივნისის 11.

ტფილისი—სასახლე.

### წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი განცხადება: განმეორებით და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ „რაბოჩაია პრავდაში“ (№ 69) მოთავსებული წერილი კათოლიკოზ-პატრიარქის წინააღმდეგ „დამპალ საძირკველზე“ ჩემი არ არის. ავტორი, როგორც აღმოჩნდა, ვინმე „პრ. ივანე ჩიჯავაძეა“. ვინ არის ეს „პრ.:“—პრიჩეტნიკია, პროტოიერეია, თუ სხვა ვინმე, ჩემთვის საიდუმლოებას წარმოადგენს.

მე ჩემს თავს, ვიდრე სრულ ჭკუაზე ვარ, საკუთარივე ხელით მორალურ სამარეს არ გავუთხრი.

დეკანოზი **იოსებ ჩიჯავაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტფილისის აღმასკომი ამით აცხადებს,
რომ ყოველგვარი ცნობები იჯარის შესახებ სისტემატიურად იქნება გაკრული განსაკუთრებულ ფიცარზედ აღმასკომის შესავალში.
აღმასკ. თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
მდივანი **თაქთაქიშვილი.**
№ 376—2—1

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 363 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქუჩ. № 4